საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2451
12/06/2022

2451-21-2-202206120924

ი/მ ნანა ცინცაძეს
მის: ქ. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა №12 ბ
ელ. ფოსტა: tsinstadzenana@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, განიხილა თქვენი 2022 წლის პირველი ივნისის №1966 განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბანოჯაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო წარმოადგენდა „შპს მოზაიკა 2006“-ის საკუთრებას და იგი ფუნქციონირებს 2012 წლიდან. ამჟამად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმო გადაეცა ი/მ ნანა ცინცაძეს, რომელიც გეგმავს ობიექტის წარმადობის გაზრდას. საწარმოში არსებული დანადგარ-მექანიზმები და ქვიშა-ხრეშის გადამუშავების ტექნოლოგია (მშრალი მეთოდი) რჩება უცვლელი.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **წარმოდგენილი საქმიანობა არ საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას**.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო